მედიის ინსტიტუტი



მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

(საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)

2025

მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული დევნა

(საკანონმდებლო ცვლილებები და არსებული პრაქტიკა)

ავტორი: ნატო მირზაშვილი

რედაქტორი: სოფო ბებერაშვილი

2025

სარჩევი

შესავალი 4

საპროტესტო აქციების კონტექსტში მედიის წარმომადგენლების გამოხატვის თავისუფლების დარღვევა..... 6

სამართლებრივი ანალიზი..... 13

დასკვნა..... 15

რეკომენდაციები 16

შესავალი

2024 წლის 28 ნოემბერიდან დაწყებული მასობრივი საპროტესტო აქციების კონტექსტში დევნის ობიექტებად სხვადასხვა სფეროსა თუ სექტორის წარმომადგენლები იქცნენ. პროტესტის კვალდაკვალ განახლდა **მედიისა და ჟურნალისტების მიზანმიმართული დევნაც,** რომელიც ჯერ კიდევ 2023-2024 წლებში „რუსული კანონის“ ინიციირებითა და რეინიციირებით, საპროტესტო აქციების გაშუქებისას ჟურნალისტებისთვის პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელშეშლითა და ფიზიკური ძალადობით ხორციელდებოდა. 2023 წლიდან დღემდე პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებელი მედიის ხმის ჩახშობას როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაშიც განაგრძობს.

საკანონმდებლო დონეზე მედიის თავისუფლების შეზღუდვა 2024 წლის 28 მაისს დაიწყო, როდესაც პარტია „ქართულმა ოცნებამ“ „რუსული კანონი“ მიიღო და იგი მედიაორგანიზაციებზეც გაავრცელა. გარდა ამისა, მაუწყებლები გახდნენ ახალი კანონების - ლგბტ უფლებების შემზღუდველი კანონისა და ე.წ. FARA-ს - სუბიექტები. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით მაუწყებლებს აეკრძალათ „უცხოური ძალისგან“ პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება, გაფართოვდა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტით გადაცემის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების ცნებები, კანონიდან „გენდერისა“ და „გენდერული მიკუთვნების“ ამოღებით ფაქტობრივად დასაშვები გახდა აღნიშნული ნიშნებით პროგრამაში ან რეკლამაში ძალადობის ან სიძულვილის წაქეზება და სხვ. გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, მაუწყებლობის სტანდარტების დარღვევაზე საჩივრის შეტანა შესაძლებელი გახდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაშიც, რაც კომისიის წევრების არჩევის წესის გათვალისწინებით[i], კრიტიკული მედიების მიმართ მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებისა და ერთგვარი ცენზურის დაწესების რისკს ზრდის. ნიშანდობლივია, რომ

კომუნიკაციების კომისიას მიენიჭა სასამართლოსადმი მიმართვისა და ბანკებიდან მაუწყებლების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებაც.

მედიაორგანიზაციები ასევე გახდნენ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების სუბიექტები. მედიის თავისუფლების შეზღუდვა გაგრძელდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რითაც ჟურნალისტებსაც აეკრძალათ სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზებსა თუ ეზოში ფოტო-ვიდეოგადაღება, აუდიოჩაწერა და ტრანსლაცია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით კი ცილისწამების საქმეებზე მტკიცების ტვირთის მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადატანამ, გაზარდა ჟურნალისტების ცენზურის/თვითცენზურის რისკი. აღნიშნულ მიზანს ასევე ემსახურებოდა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილება, რომლითაც პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების შეურაცხყოფა ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა.

დამოუკიდებელი მედიის არსებობის ფაქტობრივი აკრძალვის მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებების მიღებასთან ერთად, პარტია „ქართული ოცნება“ დღემდე იყენებს **ჟურნალისტების პროფესიული ნიშნით დევნის** სხვადასხვა ფორმას. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 16 ივნისის ჩათვლით, საპროტესტო აქციების გაშუქებისას, „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით ჟურნალისტის დაჯარიმების 37 შემთხვევა დაფიქსირდა. კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოყენებული იყო სამსახურიდან გათავისუფლებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომებიც. მედიის წარმომადგენელთა დევნა ასევე გამოიხატა საპროტესტო აქციების განმავლობაში მათ მიმართ განხორციელებულ მიზანმიმართულ ფიზიკურ ძალადობაში, შეურაცხყოფაში, დაკავებაში, სამაუწყებლო აპარატურის დაზიანებასა და სხვა ქმედებებში. ჟურნალისტის მიმართ არაერთი უფლებადარღვევის განხორციელების ნათელ მაგალითს წარმოადგენს გამოცემების „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი მზია ამაღლობელი, რომელიც „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ პატიმრად იქცა.

პარტია „ქართული ოცნება“ ჟურნალისტების დევნის მიზნით იყენებს და მათ გამოხატვის თავისუფლებას არღვევს პოლიტიკური თანამდებობის პირების შესახებ სოციალურ ქსელში განთავსებული ე.წ. პოსტების გამო დაჯარიმებითაც. უშუალოდ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევების გარდა, ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნება“ კრიტიკულ მედიებს საქმიანობას უზღუდავს კომუნიკაციების კომისიაში საჩივრების შეტანის, ანგარიშებზე ინკასოს დადების გზითაც, რაც, თავის მხრივ, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას, ცენზურის/თვითცენზურის დაწესებასა და დამოუკიდებელი მედიაორგანიზაციების ხმის ჩახშობას ემსახურება. **2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის პირველ მაისამდე** საპროტესტო აქციების კონტექსტში დევნის სამიზნე მედიის 193 წარმომადგენელი გახდა.

საპროტესტო აქციების კონტექსტში მედიის წარმომადგენლების გამოხატვის თავისუფლების დარღვევა

(2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 15 სექტემბერი)

2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტის ჩახშობას საწყის ეტაპზე პარტია „ქართული ოცნება“ მშვიდობიანი აქციების უკანონო, არაპროპორციული და ძალადობრივი ფორმებით დაშლით ცდილობდა. ფიზიკური ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის ობიექტებს პროტესტის მონაწილეებთან ერთად წარმოადგენდნენ ის ჟურნალისტები, ოპერატორები თუ ფოტოგრაფებიც, რომლებიც საპროტესტო აქციას პირდაპირ ეთერში აშუქებდნენ. 2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამეს, საპროტესტო აქციის დაშლისას, „ფორმულის“ ჟურნალისტ გურამ როგავას პირდაპირ ეთერში თავს დაესხა სპეცრაზმელი და მას რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი თავის არეში, რის შედეგადაც გურამ როგავას სახის ძვლები და კისრის მალა ჰქონდა მოტეხილი. იმავე ღამეს დააკავეს და სცემეს „პუბლიკის“ ჟურნალისტი ალექსანდრე ქეშელაშვილი, რომლის განცხადებითაც, მის მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა ფიზიკური ძალადობა მას შემდეგ, რაც პოლიციას შეატყობინა, რომ ჟურნალისტი იყო. 28-29 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს **ფიზიკური შეურაცხყოფა** მიაყენეს „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტ დავით ცაგარელს, „TV პირველის“ ოპერატორ გიორგი შეწირულს, „პროექტ 64-ის“ რედაქტორ გიორგი გოგუას.

მედიის არაერთი წარმომადგენელი დაშავდა მშვიდობიანი აქციის დაშლის მიზნით არაპროპორციულად გამოყენებული სპეციალური საშუალებებითაც - როგორც დამიზნებით შესხმული წიწაკის სპრეითა და წყლის ჭავლით, ასევე ცრემლსადენი გაზით. 28-29 ნოემბრის საპროტესტო აქციის გაშუქებისას მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის, დაშავებისა და დაკავების 40-ამდე შემთხვევა დაფიქსირდა. ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ

შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ)/საპატრულო პოლიციის მხრიდან მიზანმიმართული ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა და პროტესტის მონაწილეთა დაკავების/ცემის კადრების გადაღებისას ხელშეშლა საპროტესტო აქციის მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა. აქციის გაშუქებისას თავის არეში მძიმე დაზიანება მიიღო „TV პირველის“ ჟურნალისტმა მარიამ გაფრინდაშვილმა და დაშავდა მისი ოპერატორიც.

ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა „პუბლიკის“ ჟურნალისტი ანა მსხალაძე, რომელსაც ჩაარტყეს და მობილური ტელეფონი წაართვეს მას შემდეგ, რაც სპეცრაზმს შეატყობინა, რომ ჟურნალისტი იყო. 2024 წლის 30 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე საპროტესტო აქციების გაშუქებისას ფიზიკურად ასევე გაუსწორდნენ „რეალპოლიტიკის“ ჟურნალისტ აკა ზარქუას (რომლისთვისაც სპეცრაზმელების „მეთაურმა“ პრესის მაიდენტიფიცირებელი ბარათის პირში ჩატენა სცადა), „ფორმულის” ჟურნალისტ გიორგი კვიჟინაძეს, „პუბლიკის“ ჟურნალისტ ნათია ამირანაშვილის და სხვ. მედიის რამდენიმე წარმომადგენელს, სავარაუდოდ, ესროლეს რეზინის ტყვიებიც. ჟურნალისტებს, ოპერატორებსა და ფოტოგრაფებს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდნენ როგორც ტელეფონების წართმევით, ასევე გადაღების საშუალებების გამორთვის მოწოდებით, უკანონო დაკავებით, კამერებისა და სხვა სამაუწყებლო აპარატურის დაზიანებით. ნიშანდობლივია, რომ სპეცრაზმისა და პოლიციის გარდა მედიის წარმომადგენლებს საქმიანობაში ხელს უშლიდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პირებიც, ე.წ. „ტიტუშკები“ - ხელისუფლების მიერ პირდაპირ/ირიბად მხარდაჭერილი ძალადობრივი ჯგუფები.

2024 წლის 7 დეკემბერს „TV პირველის“ ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძესა და ოპერატორ გიორგი შეწირულს პირდაპირ ეთერში თავს დაესხნენ უცნობი პირები, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ და წაიღეს სამაუწყებლო აპარატურაც. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია, მათ არ მოუხდენიათ რეაგირება ნიღბიანი პირების ქმედებებზე. პოლიციას შესაბამისი ზომები არ მიუღია არც მაშინ, როდესაც ე.წ. „ტიტუშკა“ ფიზიკურად გაუსწორდა „პუბლიკის“ ჟურნალისტ მინდია გაბაძეს. 2024 წლის 5-8 დეკემბრის საპროტესტო აქციებზე მედიის წარმომადგენელთა დევნა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გარდა, პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლით, დაკავებით/დაკავების მცდელობით, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებითა და ტელეფონის დამტვრევით გრძელდებოდა. პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მედიის წარმომადგენელთა დაჯარიმებამ გავრცელებული პრაქტიკის სახით ჩამოყალიბება 2024 წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც ფოთის ადგილობრივი ტელეკომპანიის *(„მე-9 ტალღის“)* დირექტორი გერმანე სალია ავტომობილით ჯგუფურ საპროტესტო მსვლელობაში მონაწილეობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნეს და 1000 ლარით დააჯარიმეს. 2024 წლის ბოლომდე ჟურნალისტების, ოპერატორებისა და ფოტოგრაფების დევნა ძირითადად მუშაობაში ხელშეშლას, აგრესიულ დამოკიდებულებას, სიტყვიერი/ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და თავდასხმას/თავდასხმის მცდელობას მოიცავდა.

2025 წელს მედიის წარმომადგენელთა დევნა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას **„გზის ხელოვნურად გადაკეტვის“** საფუძველზე დაჯარიმებით განახლდა. 2025 წლის 3 იანვარს აქციის მიმდინარეობისას გზის ხელოვნურად გადაკეტვის საფუძვლით სანქციის გაზრდილი ოდენობით, 5 000 ლარით, დააჯარიმეს „ევრონიუსის“ ჟურნალისტი დავით კეკენაძე. 4 იანვარს გზის ხელოვნურად გადაკეტვას ედავებოდნენ „მთავარი არხის“ ჟურნალისტ ალექსანდრე საჯაიას, 17 იანვარს - „ტაბულის“ ჟურნალისტ ნიკოლოზ ჭირაქაძეს, 22 იანვარს - „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტ ეკა ქევანიშვილს, რომელსაც მოგვიანებით ჯარიმა მოუხსნეს, 14 თებერვალს კი - ასევე „ტაბულის“ ჟურნალისტ ბექა ჯიქურაშვილს.

2025 წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარე აქციებისას გზის ხელოვნურად გადაკეტვის საფუძვლით მედიის კიდევ 15-ამდე წარმომადგენელი დააჯარიმეს, რომელთაგან ორის მიმართ[ii] დაჯარიმების გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, რამდენიმე მათგანის მიმართ კი დაკისრებული ჯარიმა მოგვიანებით გაუქმდა[iii], ორი ჟურნალისტი თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და 5 000-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა, ნაწილის საქმე კი კვლავ განხილვის პროცესშია. ნიშანდობლივია, რომ მედიის წარმომადგენლებს აჯარიმებენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი პრესის მაიდენტიფიცირებელ ბარათს ატარებენ, რაც „სამართალდარღვევის“ ამსახველ ვიდეოებშიც ჩანს.

2025 წლის მარტში, აპრილსა და მაისში გამართული აქციების დროს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გზის ხელოვნურად გადაკეტვისთვის მედიის 15-ამდე წარმომადგენელი დააჯარიმეს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი რამდენჯერმეა დაჯარიმებული - მაგალითად, „TV პირველის“ ფოტოკორესპონდენტი გიორგი მოსიაშვილი ამ საფუძვლით ორჯერ დააჯარიმეს, „OC Media-ს“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი და ფოტოგრაფი მარიამ ნიკურაძე კი - 4-ჯერ, ჯამში 20 000 ლარით. მარიამ ნიკურაძის განცხადებით, ოთხივე შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერვე საქმის მასალების სახით გამოგზავნილ ვიდეოებში კარგად ჩანს, რომ მას უკეთია პრესის ე.წ. „ბეიჯი“, სამკლავური, აქვს კამერა და იღებს ფოტოებს. გარდა ამისა, სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილ ერთ-ერთ ვიდეოფაილს სახელად „მარიამ ნიკურაძე ჟურნალისტი“ ჰქვია.[iv] შესაბამისად, შსს-სთვის ცნობილი იყო, რომ იგი ადგილზე ჟურნალისტურ საქმიანობას ახორციელებდა.

2025 წლის 11 იანვარს ქალაქ ბათუმის პოლიციის დეპარტამენტის შესასვლელთან მდებარე დამხმარე ნაგებობის კედელზე ე.წ. სტიკერის გაკვრისთვის უკანონოდ დააკავეს გამოცემების „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი, მედიამენეჯერი და ამჟამად პოლიტიკური პატიმარი, **მზია ამაღლობელი**, რომელიც აღნიშნული ქმედებისთვის ორჯერ დააჯარიმეს: 18 მარტს -2 000 ლარით პოლიციელის „კანონიერი მოთხოვნისადმი“ დაუმორჩილებლობის საბაბით, ხოლო 18 ივნისს - 1 000 ლარით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის. საგულისხმოა, რომ მზია ამაღლობელის დაკავების ოქმში დაკავების საფუძვლად პოლიციელის შეურაცხყოფა, ხოლო დამკავებლად სხვა პირია[v] მითითებული, რაც სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად დაკავების ოქმის გაყალბებაზე მიანიშნებს.

სწორედ აღნიშნული ოქმი დაედო საფუძვლად შემდგომში მზია ამაღლობელის სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენებას. მზია ამაღლობელი სისხლის სამართლის წესით 11 იანვრის ღამეს *(12 იანვარს)* ბათუმის პოლიციის უფროსზე ე.წ. „თავდასხმის“ ბრალდებით დააკავეს. მზია ამაღლობელის მიმართ „პოლიციელზე ძალადობისთვის“ გამოტანილი განაჩენი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობა, საქმეში არსებული ცრუ მოწმეები, გაყალბებული დოკუმენტები და „ქართული ოცნების“ წევრების მიერ გავრცელებული მადისკრედიტირებელი განცხადებები ცხადყოფს, რომ მზია ამაღლობელის განაჩენი პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

მზია ამაღლობელისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას წარმოადგენდა სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემა „ბათუმელების“ საბანკო ანგარიშებზე ინკასოს დადება, რაც დისკრიმინაციულ მიდგომად და მედიაორგანიზაციის მიერ საქმიანობის შეწყვეტის მიზნად იქნა აღქმული როგორც თავად გამოცემის, ასევე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის „Amnesty International-ის“ , „Safety of Journalists Platform-ის“, „International Press Institute (IPI)-ის“ და სხვა ორგანიზაციების მიერ. გამოცემამ დავალიანების ძირი თანხა საზოგადოების მხარდაჭერით დაფარა. აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმში 11-12 იანვარს მიმდინარე აქციაზე უსაფუძვლოდ დააკავეს „ბათუმელების“ ოპერატორი და ფოტოგრაფი გურამ მურვანიძეც, რომელიც აქციას აშუქებდა და ვიდეომასალას იღებდა.

საგულისხმოა, რომ მედიის წარმომადგენლები პარტია „ქართული ოცნების“ მიერ დევნის ობიექტები განსაკუთრებით მაშინ ხდებოდნენ, როდესაც ისინი მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციებსა და სპეცრაზმის/პოლიციისა თუ პარტიის მხარდამჭერი ჯგუფების მიერ დემონსტრანტებზე განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას იღებდნენ. **2025 წლის 2 თებერვალს** „თბილისი მოლთან“ მიმდინარე აქციაზე პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს „რადიო მარნეულის“ ჟურნალისტ ვლადიმერ ჩხიტუნიძეს, „მედიაჩეკერის” ჟურნალისტ ნინია კაკაბაძეს, „გურია ნიუსის“ წარმომადგენელ აკაკი სიხარულიძეს, „მედია აპრილის" თანამშრომლებს - ვახო ქარელსა და ნატა ურიდიას, რომელსაც 2025 წლის 28 მარტსაც შეუშალეს ხელი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში - მობილური ტელეფონით საპროტესტო აქციის გადაღებისას მას პოლიციელებმა ხელი ჰკრეს.

აქციის განმავლობაში სიტყვიერი/ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეუშალეს „TV პირველის“ ჟურნალისტ დიანა ჩირგაძესა და მის ოპერატორს, ასევე „მთავარი არხის“ ჟურნალისტ დეა მამისეიშვილს. ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრნენ „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტ გელა ბოჩიკაშვილს, დაშავდა „TV პირველის“ ოპერატორი ნიკო კოკაია, ხოლო ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტ ხატია სამხარაძეს პირადი ტელეფონი წაართვა, ძირს დააგდო და ფეხი დაარტყა გდდ-ის ყოფილი დირექტორის იმდროინდელმა მოადგილემ, მირზა კეზევაძემ. აღნიშნულ აქციაზე ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის 10-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. აქციას წინ უძღოდა 2 თებერვალს დაგეგმილი საპროტესტო აქციის პოსტერის დადების გამო შალვა

პაპუაშვილის მიერ გამოცემა „პუბლიკის“ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის მოწოდების რეკლამირებაში დადანაშაულება.

მედიის წარმომადგენლებისთვის **პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა** და მათი ფიზიკური შეურაცხყოფა/ძალადობა საპროტესტო აქციების კონტექსტში შემდომშიც აქტიურად გრძელდებოდა. 2025 წლის 4 თებერვალს ნიღბიანმა პოლიციელმა სცადა მობილური ტელეფონის წართმევა „OC Media-ს“ ჟურნალისტ გივი ავალიანისთვის, რომელიც პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. იმავე დღეს პოლიციამ ხელი დაარტყა და თმაზე მოქაჩა „პუბლიკის“ ფოტორეპორტიორ ნათია ალავერდაშვილს და იძალადა „NEWS.On.ge-ს“ მთავარ რედაქტორ ვანცენტ ხაბეიშვილზე; უცნობმა პირმა განზრახ დააზიანა გამოცემა „მთის ამბების“ კუთვნილი ავტომობილი, მოგვიანებით კი გამოცემის რედაქტორ გელა მთივლიშვილის საცხოვრებლის კარზე აბრახუნებდა. 2025 წლის 15 მარტს გელა მთივლიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან თავდასხმის ობიექტიც გახდა. ნიშანდობლივია, რომ კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელს აკრედიტაციის შეჩერებითა და პარლამენტში შესვლის აკრძალვითაც უშლიან.

მიმდინარე საპროტესტო აქციების განმავლობაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მედიის წარმომადგენლებს იმ „სამართალდარღვევების“ ჩადენისთვის **აკავებდნენ/აკავებენ**, რომელთაც პარტია „ქართული ოცნება“ პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ აქტიურად იყენებს. 2025 წლის 19 თებერვალს „პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის“ საფუძვლით გაიტაცეს და უკანონოდ დააკავეს „TV პირველის“ ოპერატორი ლაშა ჯიოშვილი, 6 აპრილს კი - გამოცემა „ინდიგოს“ ჟურნალისტი საბა სორდია. ორივე მათგანი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი და 2 500 - 2 500 ლარით დააჯარიმეს. ნიშანდობლივია, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების ფარგლებში უკანონოდ დაკავებული და ნაცემი ჟურნალისტები, ოპერატორები და მედიის სხვა წარმომადგენლები პარტია „ქართული ოცნების“ სასამართლომ თავად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად.

კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები დევნის ობიექტები სამუშაო ადგილზეც გახდნენ. **საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის** ჟურნალისტ ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს შეატყობინეს, რომ 2025 წლის 4 თებერვლიდან იგი აღარ წაიყვანდა 18-საათიან „მოამბეს“, ვინაიდან პროდიუსერებს აღარ სურდათ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება, რასაც ჟურნალისტი მის მიერ არხის სარედაქციო პოლიტიკის გაკრიტიკებას უკავშირებდა. კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები - ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი და „რეალური სივრცის“ წამყვანი ნინო ზაუტაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლიდან 2025 წლის 11 აპრილს „დისციპლინური მოკვლევის“ საფუძველზე გაათავისუფლეს. აღნიშნულს წინ უსწრებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების მიერ სხდომაზე გაჟღერებული მოთხოვნა, რომ პროკურატურას დაეწყო გამოძიება მითითებული წამყვანებისა და რეჟისორ კახა მელიქიძის მიერ დაფიქსირებულ „უსაფუძვლო დადანაშაულების“ ფაქტებთან დაკავშირებით. მითითებული დისციპლინური მოკვლევის ფარგლებში დისციპლინური სანქციები ასევე დააკისრეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოთხ თანამშრომელს.

2025 წლის 28 თებერვლიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა რადიოგადაცემების „შუადღის პიკისა“ და „საღამოს პიკის“ პროდიუსერის ასისტენტ ანა მეტრეველს, რომელიც ასევე აკრიტიკებდა არხის სარედაქციო პოლიტიკას. აღნიშნულ მიზეზს უკავშირებდა დილის გადაცემის მის გარეშე განახლებას ჟურნალისტი ანი ჯობავაც. მაუწყებლობის სარედაქციო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენებისა და რეპუტაციული ზიანის მიყენებისთვის დისციპლინური სანქციის სახით გაფრთხილება შეუფარდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამ თანამშრომელს. 2025 წლის 13 მაისიდან სამსახურიდან გაათავისუფლეს გადაცემა „რეალური სივრცის“ ხუთი თანამშრომელი, რომელთა ნაწილსაც დისციპლინური სანქცია ჰქონდა დაკისრებული. 2025 წლის 1 აგვისტოდან გაათავისუფლეს კიდევ ოთხი თანამშრომელი, რომელთა ნაწილსაც ასევე დისციპლინური სანქცია ჰქონდა დაკისრებული. 2025 წლის 30 აგვისტოს დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებისთანავე გაათავისუფლეს „რეალური სივრცის“ თანამშრომელი მერი შიხაშვილიც. რეპუტაციული ზიანის მიყენებისთვის დისციპლინური სანქციის სახით სექტემბრის თვის ხელფასიდან 30% დაუქვითეს მემონტაჟე-ოპერატორ გიგა კიტიას.

მედიაორგანიზაციების წინააღმდეგ დევნას პარტია „ქართული ოცნება“ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში გამოყენებითაც ახორციელებს. 2025 წლის 2 ივნისს „ქართულმა ოცნებამ“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ტელეკომპანიების **„ფორმულის“, „TV პირველისა“ და „მთავარი არხის“** წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა ისეთი ფრაზების/ტერმინების სატელევიზიო ეთერსა და სოციალურ მედიაში გამოყენებისთვის, როგორებიცაა: „არალეგიტიმური პარლამენტი“, „ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე“, „ოლიგარქის დეპუტატი“, „რეჟიმის საქალაქო სასამართლო", „ქართული ოცნების რეჟიმი“, „რეჟიმის პატიმრები“ და სხვ. 2025 წლის 3 ივლისს კომუნიკაციების კომისიამ სამივე ტელეკომპანია სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით ჯარიმა არ დააკისრა. პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ტელეკომპანიების წინააღმდეგ მსგავსი საჩივრების შეტანა და მათი სამართალდამრღვევებად ცნობა ეწინააღმდეგება როგორც მედიის გამოხატვის თავისუფლებას, ასევე წარმოადგენს **სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და ცენზურის/თვითცენზურის დაწესების გზით** მედიაორგანიზაციების მიზანმიმართულ დევნას.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მედიის თავისუფლების დარღვევა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანითა და მათი ამოქმედებით განაგრძო - 2025 წლის 27 ივნისიდან ძალაში შევიდა სასამართლოს შენობაში, ეზოსა და სხდომის დარბაზებში **ფოტო-ვიდეოგადაღების, აუდიოჩაწერისა** და ტრანსლაციის აკრძალვა, რომელმაც მართლმსაჯულება მედიისთვის და, შესაბამისად, საზოგადოებისთვისაც დახურა. კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლებს დღესაც არ ეძლევათ შესაძლებლობა გააშუქონ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების სასამართლო სხდომები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიტიკული მედიის წარმომადგენლების მიერ პროცესების გაშუქების უფლება კანონში ცვლილებების შეტანამდეც იზღუდებოდა.

2025 წლის ივნისში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მასობრივად გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც ახალ **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად** განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება. აღნიშნული საფუძვლით 2025 წლის 6 ივნისს „ქართული ოცნების“ წევრების შესახებ სოციალურ ქსელ *„ფეისბუქში“* განთავსებული ე.წ. პოსტების გამო ადმინისტრაციული საქმისწარმოება მედიის არაერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ დაიწყო, რომელთაგან 4 000 ლარით დააჯარიმეს ჟურნალისტები - ეკა მიშველაძე, ვახო სანაია, ვიკა ბუკია, ტელეწამყვანი მიშა მშვილდაძე, ჟურნალისტი დეა მამისეიშვილი *(3 000 ლარით).*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრიტიკული მედიის წინაამდეგ ე.წ. SLAPP საქმეების ტენდენციის ზრდასა და ცენზურის/თვითცენზურის დაწესებას ხელს უწყობს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონში შეტანილი ის ცვლილებები, რომლითაც **ცილისწამების საქმეებზე** მტკიცების ტვირთიც გადავიდა მოსარჩელიდან მოპასუხეზე, გაუქმდა კვალიფიციური პრივილეგია, სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება გავრცელდა საჯარო სივრცეში შეურაცხყოფაზეც. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მითითებული ცვლილებების საფუძველზე შეიტანა სასამართლოში სარჩელი „ქართული ოცნების“ წევრმა თეა წულუკიანმა ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის წინააღმდეგ. ცილისწამების ბრალდებით „TV პირველის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა „ქართუ ბანკმა“ და მოითხოვა, რომ ტელეკომპანიამ არ მოიხსენიოს იგი, როგორც „ივანიშვილის“ ან „ოლიგარქის“ ბანკი.

პარტია „ქართული ოცნება“ მედიის წარმომადგენელთა დევნას - პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელშეშლას და *ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფას - კვლავ აქტიურად* აგრძელებს. მან როგორც ე.წ. FARA-ს დარღვევის საფუძვლით, ასევე გრანტების, ბენეფიციარებისა და პარტნიორების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით წარმოება დაიწყო იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელთა ნაწილიც მედიის ადვოკატირების კოალიციის წევრია და მედიის თავისუფლების საკითხებზე მუშაობს. აღნიშნული ორგანიზაციებიდან რამდენიმეს „პირბადეების საქმის“ გამოძიების ფარგლებში საბანკო ანგარიშებიც დაუყადაღეს.

2025 წლის 3 სექტემბერს კახა კალაძის საარჩევნო შტაბის გახსნის პარალელურად მიმდინარე საპროტესტო აქციაზე „ქართული ოცნების“ წევრმა ბექა ოდიშარიამ ონლაინ გამოცემა „პუბლიკის“ ჟურნალისტ მინდია გაბაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. დევნის სამიზნე გახდა „პუბლიკის“ რედაქტორი ლიკა ზაკაშვილიც, რომელსაც „ქართული ოცნების“ წევრებმა და მხარდამჭერებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შეაფურთხეს, პოლიციამ კი მას გადაღება ხელის გადაგრეხვით შეაწყვეტინა.

2025 წლის 8 სექტემბერს საარჩევნო შტაბთან გამართულ აქციაზე დაზარალდა 6 ჟურნალისტი - „პუბლიკის“ ჟურნალისტებს, ალექსანდრე ქეშელაშვილსა და ქეთო მიქაძეს, პროფესიული საქმიანობის შესრულებისას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ფიზიკურად გაუსწორდნენ და წაართვეს მობილური ტელეფონები. ჟურნალისტური

საქმიანობის განხორციელებაში ხელი ასევე შეუშალეს გამოცემა „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტ ქეთევან ხუციშვილს, რომელსაც პოლიციამ აგინა და მასზე ფიზიკურად იძალადა. პარტიის მხარდამჭერებმა წყალი შეასხეს „OC Media-ს“_ დამფუძნებელს, ფოტოჟურნალისტ მარიამ ნიკურაძეს და „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს, ფიზიკურად იძალადეს უნგრელ ჟურნალისტ ლასლო მუზეშზეც.

აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენელთა მიმართ 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე განხორციელებულ ინციდენტებზე *(ფიზიკური ძალადობა, სიტყვიერი/ფიზიკური შეურაცხყოფა, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა და სხვ.)* **პასუხისმგებელი არც ერთი პირი არ არის იდენტიფიცირებული/დასჯილი**.

სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი განამტკიცებს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას და იცავს ყველა ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. აღნიშნული მუხლი ასევე ადგენს *მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებისა და ცენზურის დაუშვებლობის* ფუნდამენტურ პრინციპებს. პარტია „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული ქმედებები - როგორც საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით მედიაორგანიზაციების *სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა, ცენზურის/თვითცენზურის* დაწესება, ასევე მათი წარმომადგენლების მიზანმიმართული ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა, ძალადობა, უკანონო დაკავება/დაჯარიმება, *პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლა* - წარმოადგენს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სფეროში უხეშ და გაუმართლებელ ჩარევას.

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, რაც მოიცავს მის იძულებას, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს.[vi] თავის მხრივ, სისხლის სამართლის წესით დასჯადია *ადამიანის დევნა სიტყვის,* აზრის, სინდისის ან სხვა ნიშნის გამო, მაგრამ ამ ყველაფრის ობიექტები „ქართული ოცნების" მიერ განხორციელებული ქმედებების [vii] შედეგად მედიის წარმომადგენლებიც არიან. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს როგორც *ცენზურის დაუშვებლობას,* ასევე *მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა* და პლურალიზმს [viii] , რასაც პარტია „ქართული ოცნება" აქტიურად ებრძვის. მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება *დაცულია კომერციული, პოლიტიკური და სხვა სახის ზეწოლისა* და ზემოქმედებისაგან. [ix] საზოგადოებრივი მაუწყებლიდან კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების გათავისუფლება/დისციპლინური სანქციების დაკისრება ეწინააღმდეგება როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტურ პრინციპს,[x] ასევე დამოუკიდებლობის,[xi] პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფლების სარედაქციო პრინციპებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მხოლოდ კანონით განსაზღვრულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან სხვა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად *აუცილებელ შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს*. პარტია „ქართული ოცნების" მიერ მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები არღვევს როგორც ზემოაღნიშნულ დებულებას, ასევე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლს. მედიასაშუალებების, გამომცემლებისა და ჟურნალისტების მიერ მხოლოდ ხელისუფლების ან ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური და სოციალური სისტემის კრიტიკა ვერასდროს ჩაითვლება გამოხატვის თავისუფლების აუცილებელ შეზღუდვად.[xii]

მშვიდობიანი შეკრების უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკრების მონიტორინგში ჩართული უფლებადამცველებისა და ჟურნალისტების როლი. *მათ არ უნდა აეკრძალოთ ან ზედმეტად არ უნდა შეეზღუდოთ* აღნიშნული ფუნქციების განხორციელება, მათ შორის სამართალდამცავი პირების ქმედებების მონიტორინგი. ჟურნალისტები არ უნდა დაექვემდებარონ დასჯას (რეპრესიას) ან შევიწროებას, ხოლო მათი აპარატურა - *ჩამორთმევას ან დაზიანებას*. მაშინაც კი, თუკი შეკრება არაკანონიერად არის გამოცხადებული ან უკვე დაშლილია, აღნიშნული არ აჩერებს მონიტორინგის განხორციელებს უფლებას.[xiii] პროფესიული მოვალეობის შესრულებისას სამაუწყებლო აპარატურის ჩამორთმევა და თავისუფლების აღკვეთა მნიშვნელოვნად ზღუდავს *ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების* უფლების განხორციელებას. [xiv] სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეების ფუნდამენტური უფლებების რეალიზება და პატივისცემა, ასევე *ჟურნალისტების დაცვა დაზიანებისგან*.[xv] ჟურნალისტები შეკრების არა მონაწილეები, არამედ დამკვირვებლები არიან, შესაბამისად, მათ არ უნდა მოეთხოვოთ პროტესტის ადგილის დატოვება, *პოლიციის ქმედებებზე დაკვირვება და ჩაწერა* მანამ, სანამ

მათი ყოფნა მნიშვნელოვნად არ შეუშლის ხელს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებას. [xvi] დემონსტრაციის ადგილიდან ჟურნალისტების გაყვანის ნებისმიერი მცდელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის არსებითი ფუნქციის გათვალისწინებით *(მაგ., ხელისუფლების მიერ საჯარო დემონსტრაციების მართვისა და არეულობის შეჩერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება)* „მკაცრ შემოწმებას“ უნდა დაექვემდებაროს.[xvii] სამართალდამცავი პირების მიერ მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს *ყოვლისმომცველი და დამოუკიდებელი გამოძიება* და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სისხლისსამართლებრივი ბრალდებაც. მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის განმახორციელებელი პოლიციელებისთვის სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ *პროფესიული სანქციებიც*.[xviii]

დასკვნა

პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულმა ქმედებებმა - პროფესიული მოვალეობის შესრულებისას „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით უკანონო დაჯარიმებამ, საპროტესტო აქციების გაშუქებისას ფიზიკურმა ძალადობამ, სიტყვიერმა შეურაცხყოფამ, ცენზურის დაწესებამ და გამოხატვის თავისუფლების უფლების სხვა ფორმებით დარღვევებმა - მედიისა და ჟურნალისტების **მიზანმიმართული დევნის სახე** მიიღო. მედიის წარმომადგენელთა დევნა ხორციელდება როგორც თვითნებურად მზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით, ასევე „სამართალდამცავი ორგანოების“ წარმომადგენლებისა და „ქართული ოცნების“ არაფორმალური დაჯგუფებების მიერ ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე ფიზიკური ანგარიშსწორებით. შესაბამისი უწყებების გულგრილობა და ძალადობის

ფაქტებზე რეაგირების ნებელობის არქონა კი მხოლოდ და მხოლოდ ახალისებს ძალადობრივ გარემოს, სადაც დამნაშავეები დაუსჯელნი რჩებიან.

მაუწყებლების სარედაქციო პოლიტიკაში სხვადასხვა ფორმით *(გაუმართლებელი, მზღუდავი ცვლილებების მიღება, კომუნიკაციების კომისიაში დაუსაბუთებელი საჩივრების შეტანა და სხვ.)* ჩარევის, მედიის წარმომადგენელთა ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფის ან/და მისი პირდაპირი ან ირიბი წახალისების, უკანონო დაჯარიმებისა და დაკავების, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან თანამშრომლების უკანონო გათავისუფლებისა და მედიაორგანიზაციებისთვის ფინანსური რესურსების მოსპობის მიზანს *კრიტიკული, დამოუკიდებელი და თავისუფალი მედიის ხმის ჩახშობა* და იმ „მსუსხავი ეფექტის“ შექმნა წარმოადგენს, რომელიც მედიებს თვითცენზურას დაუწესებს.

რეკომენდაციები

აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელს *(ირინე ხანს)*:

> გამოეხმაუროს საქართველოში ჟურნალისტების უფლებების სისტემატურ დარღვევებს და მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, აღკვეთოს მედიის წარმომადგენელთა დევნის მიზნით მათი *აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა* - შეწყვიტოს ჟურნალისტების, ტელეწამყვანების, ოპერატორებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების დაჯარიმება მათ მიერ ციფრულ *(სოციალურ ქსელებში)* და ფიზიკურ სივრცეში გამოთქმული აზრის გამო, მედიაორგანიზაციებისთვის ცენზურის დაწესების მიზნით კომუნიკაციების კომისიაში საჩივრების შეტანა, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა

და მაუწყებლების სამართალდამრღვევებად ცნობა. გააუქმოს მედიის წარმომადგენელთა მიერ გამოხატვის უფლებით სარგებლობის საფუძვლით შეფარდებული ადმინისტრაციული ჯარიმები.

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელს *(ჯინა როშეროს)*:

გამოეხმაუროს საქართველოში ჟურნალისტების უფლებების სისტემატურ დარღვევებს და მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, აღკვეთოს მედიის წარმომადგენელთა დაშინებისა და დევნის მიზნით *მშვიდობიანი შეკრების უფლების* რეალიზაციისას მათი უკანონო დაკავება, პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა, ძალადობა, ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფა; გააუქმოს საპროტესტო აქციის გაშუქებისას „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით მედიის წარმომადგენლებისთვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება და სხვ.), დააიდენტიფიციროს და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც 2024 წლის 28 ნოემბრიდან მონაწილეობდნენ ჟურნალისტების, ოპერატორებისა და ფოტოგრაფების უფლებების დარღვევაში (ძალადობაში, ფიზიკურ/სიტყვიერ შეურაცხყოფაში, პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლაში და სხვ.).

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის *დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს*:

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, იმოქმედოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ არსებული გზამკვლევისა და სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად - საპროტესტო აქციების დროს დაიცვას მედიის წარმომადგენელთა უფლებები და უსაფრთხოება, არ შეუზღუდოს მათ სამართალდამცავი პირების მიერ განხორციელებული ქმედებების გადაღება და დაუსაბუთებლად არ შეუშალოს მათ ხელი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს:

თვალი ადევნოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციას და საკუთარი მანდატის ფარგლებში მიიღოს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირებისკენ მიმართული ზომები.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს (მაიკლ ო’ფლაჰერტის):

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, შეასრულოს 2025 წლის 26 მარტის მემორანდუმით („ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში“) ჟურნალისტების უფლებათა დაცვის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები -

ჟურნალისტების მიერ საპროტესტო აქციების უსაფრთხოდ და თავისუფლად გადაღება/მონიტორინგი; ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევების ეფექტიანი გამოძიება; მზია ამაღლობელის გათავისუფლება.

ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად:

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, იმოქმედოს კომისიის მიერ სხვა ქვეყნებისთვის გაცემული იმ დასკვნების შესაბამისად, რომლებიც სასამართლო სხდომებზე მედიის წარმომადგენელთათვის გადაღების აკრძალვას, გამოხატვის თავისუფლებაში ცენზურის/თვითცენზურის დაწესების გზით ჩარევასა და მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობაში მედიაორგანიზაციებისთვის ბუნდოვანი ვალდებულებების დაკისრებას შეეხება.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

შეწყვიტოს მედიის წარმომადგენელთა მიმართ თვითნებური და უკანონო ქმედებების განხორციელება - ადმინისტრაციული სახდელის სახით უკანონო ჯარიმების დაკისრება/დაკავება, ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფის განხორციელება, ფიზიკური ძალადობა, პროფესიული მოვალეობის შესრულებაში სხვაგვარი ხელშეშლა, საპროტესტო აქციის კონტექსტში არსებული უფლებადარღვევების გადაღების შეზღუდვის აკრძალვა;

მოახდინოს იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირება, რომლებიც მედიის წარმომადგენელთა მიმართ ახორციელებდნენ ფიზიკურ ძალადობას, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას ან/და სხვაგვარად უშლიდნენ ხელს ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებაში და დაიწყოს გამოძიება მათ მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელებზე *(„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა, გზის ხელოვნურად გადაკეტვა, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება)* უზრუნველყონ ობიექტური, სრულყოფილი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

საქართველოს სახალხო დამცველს:

შეისწავლოს პარტია „ქართული ოცნების“ „სამართალდამცავი ორგანოების“ ქვედანაყოფებისა და „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი ძალადობრივი ჯგუფების (ე.წ. „ტიტუშკების“) მიერ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ძალადობის შემთხვევები, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან თანამშრომელთა

გათავისუფლების შემთხვევები დისკრიმინაციისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევასთან მიმართებით.

---

[i] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, კომუნიკაციების კომისიის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

[ii] ონლაინ მედია „64-ის“ გრაფიკული დიზაინერი ბექა ბერიძე და გამოცემა „პუბლიკის“ ჟურნალისტი ბასტი მგალობლიშვილი.

[iii] „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტებს - გიორგი დიასამიძესა და გელა ბოჩიკაშვილს, „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტებს- ნინო შუბითიძეს და ნინო წვერავას. იხ. ბმული.

[iv] მედიის ინსტიტუტის მიერ 2025 წლის 16 ივლისს მარიამ ნიკურაძესთან ჩატარებული ინტერვიუ.

[v] აჭარის პოლიციის ყოფილი უფროსის, გრიგოლ ბესელიას, ნაცვლად ქალაქ ბათუმის პოლიციის უფროსის მოადგილე, გოჩა ვანაძე.

[vi] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.

[vii] სოციალურ ქსელში გამოთქმული მოსაზრების გამო მედიის წარმომადგენელთა დაჯარიმება, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა გადაღების აკრძალვით, ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფით, ფიზიკური ძალადობით, უკანონო დაჯარიმებით/დაკავებით და სხვ.

[viii] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. იხ. ბმული.

[ix] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 28-ე მუხლი. იხ. ბმული.

[x] კონსტიტუციის მე-11 მუხლი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, შრომის კოდექსის მე-4 მუხლი, საქართველოს პირველი არხის შინაგანაწესის 3.3. პუნქტი.

[xi] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი. იხ. ბმული.

[xii] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2011 წლის N34 ზოგადი კომენტარი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების (მე-19 მუხლის) შესახებ, გვ. 11, პარაგრაფი 42. იხ. ბმული.

[xiii] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების (21-ე მუხლის) შესახებ, გვ. 6, პარაგრაფი 30. იხ.ბმული.

[xiv] Mammadov and Abbasov v. Azerbaijan, no. 1172/12, § 62, 8 July 2021.
ასევე იხილეთ: Hayk Grigoryan v. Armenia, no. 9796/17, § 63, 3 April 2025.

[xv] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის N37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების (21-ე მუხლის) შესახებ, გვ. 13, პარაგრაფი 74. იხ.ბმული.

[xvi] ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (2020). *გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ,* მე-3 გამოცემა, პარაგრაფი 202, გვ. 76. იხ. ბმული.

[xvii] Butkevich v. Russia, no. 5865/07, § 130, 13 February 2018.

[xviii] ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (2020). *გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ*, მე-3 გამოცემა, პარაგრაფი 203, გვ. 76. იხ. ბმული.